

ვადაჭკორია ბადრი ნიკოლოზის ძე

ვადაჭკორია ბადრი ნიკოლოზის ძე (დ. 29. V. 1947, ლანჩხუთი), ჟურნალისტი, ფოტოკორესპონდენტი. საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2003), დამს. ჟურნალისტი (2019); დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტის ჟურნალისტიკის განყ-ბა (1977). მუშაობდა საქტელერადიოკომიტეტში სპეც. კორესპონდენტად (1971-იდან). იყო საქტელერადიოკორპორაციისა და “ახალი ქართული გაზეთის” საკუთარი კორესპონდენტი ცენტრ. და აღმ. ევრ. ქვეყნებში (1998–2002). გაზეთების “ნატვრისთვალის”, “ახალგაზრდა კომუნისტის” სპეც. კორესპონდენტი. 1994–98 მოღვაწეობდა დიპლომატიურ სამსახურში. არის საერთაშ. ფოტოკონკურსების მონაწილე და ლაურეატი: საქართვე. ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის (ფედერაცია) წევრი (1982), ჟურნალისტთა საერთაშ. ორგანიზაციის წევრი (1993) და ჟურნალისტთა ფედერ. პრიზის “ოქროს ფრთის” ლაურეატი (2005). მიღებული აქვს არაერთი ჯილდო და პრემია, მ. შ.: „თბილისზე მზრუნველის“ საპატიო წოდება (2017); აღ.როინაშვილის სახ.საპატიო დიპლომი (2018); წმ.ილია მართლის (ჭავჭავაძე) გაზეთ „ივერიის“ სახ. პროზა-პოეზიის საერთაშ. პრემია (2014,2022). არის მექსიკის ხელოვნების საერთაშ. ფესტივალის FINI მონაწილე და გამარჯვებული (2021).

მისი ნამუშევრებია: ფოტოალბომი “ქართული სული” (2007, I ტ.), პროექტი „ჩემი საქართველო“, გამომცემლობა „პალიტრა ლ“-თან ერთად (2015-2023, 1-14 ტ.), „საქართველო და რეგიონები“ (2023).
